

შპს „ტიმელ“-ს

ჩამდინარე წყლების გამწმენდი
ნაგებობის ექსპლუატაციის

სკრინინგის ანგარიში

2023 წელი

სარჩევი

1. შესავალი.....	3
2. სკრინინგის განცხადების მომზადების საკანონმდებლო საფუძველი.....	4
3. ინფორმაცია საქმიანობის შესახებ (საქმიანობის მახასიათებლები, მათ შორის საქმიანობის მასშტაბი).....	6
4. საქმიანობის განხორციელების ადგილი.....	12
4.1. საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა.....	14
5. საქმიანობის ფარგლებში წყლის გამოყენების საკითხები.....	16
6. საქმიანობის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი.....	17
6.1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....	18
6.2. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....	19
6.3. წყლის გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი.....	22
6.4. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი.....	25
6.5. ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....	25
7. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი.....	27
8. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება.....	28
9. ზემოქმედების შესაძლო ხარისხი, კომპლექსურობა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (გზმ-ის) პროცედურის ჩატარების მნიშვნელობის განსაზღვრა.....	28
9.1. შესაძლო ზემოქმედების შემაჯამებელი ცხრილი.....	29
10. დანართები.....	34

1. შესავალი:

შპს „ტიმო“-ს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება ლოკოკინების გადამამუშავება, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოს კანონის - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I და II დანართებით განსაზღვრულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე ვრცელდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შემოწმებული იქნა შპს „ტიმო“-ს კუთვნილი საწარმო. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკანში შპს "ტიმო"-ს კუთვნილი ლოკოკინის გადამამუშავებელი საწარმოდან აღებული იქნა წყლის სინჯები (საწარმოო წყლები არხის გავლით 910 მ-ის შემდეგ ჩადის მდინარე ნარეკვავში) შემდგომი ლაბორატორიული კვლევისთვის. ლაბორატორიული კვლევებით გაირკვა, რომ შპს "ტიმო"-ს ჩამდინარე წყლის სინჯებში შეწონილი ნაწილაკების რაოდენობამ ნაცვლად 60 მგ/ლ, შეადგინა 547 მგ/ლ, ასევე ჟბმ-ს რაოდენობა ნაცვლად 25 მგ/ლ, შეადგინა 62,32 მგ/ლ. კვლევის პასუხებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ შპს „ტიმო“-ს კუთვნილ საწარმოში გამოყენებული ჩამდინარე წყლებით ადგილი აქვს ზედაპირული წყლის ობიექტის დაზიანებებს და კომპანიის მიერ დარღვეულია „საწარმოო და არასაწარმო ობიექტების ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტით“ დადგენილ პირობები. შემოწმების დროს ასევე დადგინდა, რომ შპს „ტიმო“-ს კუთვნილ ობიექტზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული შესაბამისი პროცედურის გავლის გარეშე (სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე) მოწყობილი ჰქონდა ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური და მექანიკური გამწმენდი სისტემა.

გამოვლენილ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2022 წლის 24 ოქტომბერს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N071478 ოქმი, ხოლო 2023 წლის 17 თებერვალს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 58 მუხლის პირველი ნაწილისა და 82² მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N074979 და N074980 ოქმები.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ობიექტზე გარემოსდაცვითი შეუსაბამობების გამოვლენის დღიდან საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს გამოვლენილი სამართალდარღვევების დროული აღმოფხვრა და ქვეყანაში მოქმედ გარემოსდაცვით ნორმებთან/სტანდარტებთან ობიექტის შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული მიზნით შპს "ტიმო"-ს მიერ განსახილველ ობიექტზე დაგეგმილი იქნა ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემის მოდერნიზება და საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდის ეფექტურობის გაზრდა (დეტალური ინფორმაცია იხ. სკრინინგის ანგარიშის მე-3 თავში).

ზემოაღნიშნული გარემოებისა და საკანონმდებლო მოთხოვნათა საფუძველის გათვალისწინებით საქმიანობის განმახორციელებლის დაკვეთით შემუშავდა საქმიანობის სკრინინგის ანგარიში, რომელიც სრულ თანხვედრაშია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრულ მოთხოვნებთან. სკრინინგი ანგარიში ეხება ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაციის დახასიათებას და საქმიანობის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ანალიზს.

სკრინინგის ანგარიში შედგენილ იქნა განსაზღვრული საქმიანობისა და ობიექტის ადგილსპეციფიური გარემოებების სათანადო შესწავლის, ასევე პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ანალიზის საფუძველზე. წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ უწყებას მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია და მისცეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საშუალება.

საინფორმაციო ცხრილი N1

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „ტიმო“ (ს/კ 405500220)
იურიდიული მისამართი	საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რ-ნი, ვაჟაფშაველას გამზირი, N 51, კორპუსი 4, ბინა 6
საკონტაქტო ინფორმაცია	ელ. ფოსტა: georgesermon1@gmail.com მობ: +995 571 100 321
დაგეგმილი საქმიანობის სახე, კოდექსის შესაბამისად	ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია
საქმიანობის განხორციელების ადგილი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელ წილკანი
ინფორმაცია სკრინინგის ანგარიშის მომამზადებლის შესახებ	შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია“ მობ: 511 19 19 00

2. სკრინინგის განცხადების მომზადების საკანონმდებლო საფუძველი:

ევროკავშირის მიერ განსაზღვრული დირექტივების/ვალდებულების შესრულების ფარგლებში საქართველომ მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც 2018 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა. საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ არეგულირებს ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტთან და სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე.

კოდექსი მოიცავს ორ (I; II) დანართს, სადაც მოცემულია საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებენ შესაბამისი გარემოსდაცვით პროცედურის გავლას. I დანართის შემთხვევაში საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) პროცედურას, ხოლო II დანართის შემთხვევაში – სკრინინგის პროცედურას (გარდა ამ კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა).

„ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია“ კოდექსის II დანართის 10.6 ქვეპუნქტის შესაბამისად სკრინინგს დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს და საჭიროებს სკრინინგის პროცედურის გავლას. საკანონმდებლო მოთხოვნათა შესაბამისად შპს „ტიმეო“-ს დაკვეთით შემუშავდა სკრინინგის განცხადება, რომელიც სრულ თანხვედრაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

„გარემოსდაცვითი შეფასები კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით სააგენტოში წარსადგენი სკრინინგის განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათ შორის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს: ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ; ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების თაობაზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე; გ) ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში – აგრეთვე ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე.

კოდექსის მე-7 მუხლის 4¹ ნაწილის მიხედვით, სააგენტოსთვის წარდგენილ სკრინინგის განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას, უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში. ვინაიდან - მუნიციპალიტეტს, სადაც ხორციელდება განსახილველი საქმიანობა, არ გააჩნია დამტკიცებული გენერალური გეგმა, დგინდება რომ - საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ მუნიციპალიტეტის პოზიციის ამსახველი წერილის წარმოდგენის საჭიროება არ დგას.

სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ასევე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რომელთა განხილვის საფუძველზე სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზმ-ს:

- ა) საქმიანობის მახასიათებლები:
 - ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;
 - ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
 - ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
 - ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;
 - ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;
 - ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;
- ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:
 - ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
 - ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;

- ბ.გ) ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
- ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;
- ბ.ე) დასახლებულ ტერიტორიასთან;
- ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან;
- ბ.ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან);
- გ) საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედება:
 - გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
 - გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

კოდექსის შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის განმახლორციელების ვალდებულება საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სააგენტოს განსახილველად წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება, ხოლო სააგენტოს პასუხისმგებლობა სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების განხილვის/ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ის პროცედურას.

3. ინფორმაცია საქმიანობის შესახებ (საქმიანობის მახასიათებლები, მათ შორის საქმიანობის მასშტაბი):


შპს „ტიმო“ს ეკონომიკური საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ლოკოკინების გადამუშავება. საქმიანობა ითვალისწინებს: საწარმოო ობიექტზე ლოკოკინების ჩაბარებას/მიღებას; მიღებული ლოკოკინების შენახვას +5 გრადუსზე, სამაცივრე საწყობში; რეცხვის დანადგარზე ლოკოკინების გარეცხვა; ლორწოვანი ნივთიერების მოშორების მიზნით შესაბამის დანადგარზე მარილით დამუშავებას; ორთქლის დანადგარში დამუშავებას; ლოკოკინის ნიჟარიდან ამოღებას, განცალკავებას ფეკალიებიდან და დახარისხებას; გარჩეული ლოკოკინების ორთქლის სახარშ ქვაბებზე მიწოდებას; საწურ დანადგარზე დამუშავებას, სადაც საბოლოოდ გაირეცხება და დაიწურება; საბოლოოდ დაფასოების უბანზე განთავსებას (აიწონება და დაფასოვდება 5 კილოგრამიან პოლიეთილენის პარკებში); პროდუქციის დროებით მინუს სამაცივრე საწყობში შენახვას და ევროპის ქვეყნებში ექსპორტზე გატანას. საწარმოს ტენოლოგიურ ციკლში გამოიყენება დანადგარები, როგორცაა - ბოილერი (ორთქლის მისაღებად) და ლოკოკინების ნიჟარების გამოსაწვავი, რომლებიც მუშაობენ ბუნებრივ აირზე, ასევე სამაცივრო დანადგარები, რომლებიც მუშაობენ ელექტრო ენერგიაზე. სამაცივრე დანადგარებისათვის ელექტრო-ენერგიის მუდმივად მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, საწარმოში განთავსებულია სარეზერვო დიზელ-გენერატორი, რომლის გამოყენება მოხდება ელექტრო ენერგიის ავარიული გათიშვის შემთხვევაში. ობიექტის სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში - 250, სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში - 16 სთ (აღნიშნული სამუშაო რეჟიმი ვრცელდება ასევე გამწმენდ სისტემებზე).

განსახილველ ობიექტზე მოწყობილია საწარმოო და სამეურნეო-ფეკალური წყლების გამწმენდი სისტემები, შესაბამის აღჭურვილობებით. ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების დახასიათება მოცემულია 3.1, 3.2 და 3.3 ქვეთავებში.

3.1. სამეურნეო-ფეკალური/საკანალიზაციო წყლების გაწმენდის დახასიათება:

ჩამდინარე წყლების ღრმა ბიოლოგიური გაწმენდის სადგური KANN სერის (www.kann.ge) "ECO" განკუთვნილია ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური დამუშავებისთვის. საკანალიზაციო წყლის დამუშავება ხორციელდება ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიით - აერობულ და ანაერობულ პირობებში მოქმედი აუტოტროფული და ჰეტეროტროფული მიკროორგანიზმების ბიოცენოზებით. სადგური წარმოადგენს დაბალი წნევის პოლიეთილენის მიწისქვეშა შესრულების მონობლოკს. მონობლოკის შიგნით, სადგური იყოფა ტიხრებით სამ კამერად (იხ. სურათი N2). სადგურის კონსტრუქცია გათვლილია არათანაბარ ჩამდინარე წყლების ნაკადზე დღეღამის განმავლობაში.

სურათი N1



ზოგადი ტექნოლოგიური სქემა და შესაბამისი ექსპლიკაცია: ჩამდინარე წყლები სადგურში შედიან მიმღებ კამერაში (A კამერა) შესასვლელი მილით (1). მიმღები კამერა შეიცავს აერაციის ელემენტს (3) და გადასასხმელ მილს (4). მიმღებ კამერაში, ხდება ჩამდინარე წყლის გათანაბრება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, ჩამდინარე წყლები იწმინდება აერობული ბაქტერიებით და გადასასხმელი მილის საშუალებით (4), უხეში ფილტრით გაწმენდილი, ჩამდინარე წყალი შედის დამამშვიდებელში (კამერა B). დამამშვიდებელში ხდება ჩამდინარე წყლების გაწმენდა ანაერობული ბაქტერიებით, გამომუშავებული აქტიური შლამის დალექვა, ჩამდინარე წყლების გაღიაება. დამამშვიდებელში დამონტაჟებულია ცხიმის ხაფანგი, რომელიც ტუმბავს ცხიმის ფირს და მსუბუქ დამაბინძურებლებს მიმღებ კამერაში დამატებითი გაწმენდისათვის. დამამშვიდებელიდან ჩამდინარე წყალი შეწოვის მილის (6) მეშვეობით მიედინება საბოლოო გაწმენდისთვის ფილტრაციის კამერაში (კამერა B), სადაც დამონტაჟებულია ჭარბი აქტიური შლამის (8) აერლიფტი და ფუნჯიანი ფილტრი (7). ჭარბი შლამის აერლიფტი ტუმბავს ზედმეტ აქტიურ შლამს მიმღებ კამერაში. ფილტრაციის შემდეგ ჩამდინარე წყალი სადგურიდან გადის შესაბამისი მილის საშუალებით (9). სადგურის ყელში დამონტაჟებულია კომპრესორი (10). ზედმეტი აქტიური შლამი გროვდება სტაბილიზატორში და ანაერობულად სტაბილიზდება. საპასპორტე მონაცემების შესაბამისად, სტაბილიზირებული შლამის ამოტუმბვა უნდა განხორციელდეს, თუ აერაციის ავზში შლამის კონცენტრაცია აღემატება სითხის მოცულობის 25%-ს ან თუ სტაბილიზატორში შლამის კონცენტრაცია აღემატება სითხის მოცულობის 50% -ს.

ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი სადგურის KANN სერიის ECO, სრულად ავტომატიზირებულია და არ საჭიროებს არანაირ, ყოველდღიურ მომსახურებას. ეფექტურობის გაზრდის მიზნით დამატებით ღონისძიებებს წარმოადგენს: წელიწადში ერთხელ შლამის ამოტუმბვა ასენიზატორით; 5 წელიწადში ერთხელ - სადგურის სრულად ამოწმება; 6-12 თვეში ერთხელ ერლიფების გაწმენდა; 10 წელიწადში ერთხელ - აერაციული ელემენტების შეცვლა.


სადგურის მწარმოებლურობის დასადგენად საჭიროა მომხმარებელთა მაქსიმალური რაოდენობის ციფრის გამრავლება დღეში ერთი მომხმარებლის წყლის მოხმარებაზე. გამწმენდი სადგურის მომსახურება გათვლილია 90 ადამიანზე, რომელთა მიერ დღის განმავლობაში საყოფაცხოვრო მიზნებისთვის მოხმარებული წყლის მაქსიმალურმა ხარჯმა შესაძლებელია შედგინოს - 25 ლიტრი, შესაბამისად დგინდა რომ სადგურის მაქსიმალური წარმადობა (90 X 25) შეადგენს - 2.25 მ³-ს დღეში - ანუ სადგური დღის განმავლობაში წმენდს 2250 ლიტრ ჩამდინარე წყალს.

3.2. საწარმოო წყლების გამწმენდი სისტემის დახასიათება:

საწარმოო წყლების გამწმენდი სისტემა მოიცავს: საპროექტო სალექარს; ნალექის ჭას; ცხიმდამჭერ დანადგარს და საწარმოო წყლების გამწმენდ ორ (N1; N2) სადგურს.


საწარმოო წყლების გამწმენდი სადგურები (N1; N2) საკანალიზაციო წყლების გამწმენდი სადგურის ანალოგიური ტიპისაა (ბიოლოგიური გამწმენდი), შედგება სამი კამერისაგან და მიმდინარეობს 3.1 ქვეთავში აღწერილი ანალოგიური ტექნოლოგიური პროცესები. გამწმენდი სადგურების მომსახურების სპეციფიკაციები ასევე შესაბამისობაშია საკანალიზაციო წყლების გამწმენდი სადგურის მახასიათებლებთან. საწარმოო წყლების გამწმენდი სადგურები (N1; N2) ერთმანეთის მომიჯნავედაა განთავსებული და ერთმანეთთანაა დაკავშირებული, კერძოდ: N1 გამწმენდი სადგურში დამუშავებული წყალი, დამატებითი გაწმენდის მიზნით, თანაბრად ნაწილდება N2 გამწმენდ სადგურში. N2 გამწმენდ სადგურში საწარმოო წყლები გადის გაწმენდის ბოლო საფეხურს და გადადის საერთო შემკრებ ჭაში. ძირითადი განსხვავება გამწმენდი სადგურების წარმადობაშია, კერძოდ: საწარმოო წყლების გამწმენდი N1 სადგურის წარმადობა, ისევე როგორც N2 გამწმენდი სადგურისა შეადგენს - 20 მ³-ს საათში.

სურათი N2



საწარმოო წყლების გამწმენდი სისტემა აღჭურვილია აგრეთვე, მიწისქვეშა ტიპის, ცხიმდამჭერი მოწყობილობით - ცხიმდამჭერი "KANN სერია F-5" (იხ. სურათი N3). ცხიმდამჭერი შექმნილია ცხოველური და მცენარეული ცხიმებით ან/და ნავთობპროდუქტებით ან/და შეჩერებული მყარი ნარჩენებით დაბინძურებული ჩამდინარე წყლების დასამუშავებლად. მოცემულ შემთხვევაში გამოიყენება ცხოველური ცხიმის დასაჭერად. ჩამდინარე წყლები გადადის ცხიმის ხაფანგში გასაწმენდად, რომელშიც მექანიკური მინარევები, ცხიმები და ზეთები გამოიყოფა ჩამდინარე წყლებიდან გრავიტაციული დალექვით. გაწმენდის ხარისხი ცხიმის საფენის გამოსასვლელში არის 50 მგ/ლ-მდე (80%). ცხიმის დამჭერი სრულად ავტომატიზირებულია და არ საჭიროებს ყოველდღიურ მოვლას. დანადგარის მუშაობის შესანარჩუნებლად საჭიროა საპასპორტე მონაცემებით გათვალისწინებული თვიური და წლიური პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის ნატანის ფენისა და ცხიმის ფენის სისქის კონტროლი და დროული ამოტუმბვა, აღჭურვილობების მუდმივი აუდიტი და სხვ.

სურათი N3



საწარმოო წყლების გამწმენდი სისტემა შედგება ასევე ნალექის მოსაშორებელი მოწყობილობისგან, რომელიც წარმოადგენს დამატებით სალექარ-ჭას, კერძოდ: 40მ³/სთ წარმადობის ლამის ტუმბო ჩაკიდებულია ჭაში და ტუმბავს ნალექიან წყალს ჭიდან, ხოლო ციკლონისა (სადაც ხდება ნაწილაკების დამსხვილება) და ნალექის გამყოფი ცხაურის გავლით აბრუნებს ისევ უკან ჭაში. მოწყობილობა საწარმოო წყლების გამწმენდ სისტემაში დაემატა ჩამდინარე წყლების გაწმენდის ეფექტურობის გაზრდის მიზნით. აღნიშნული მოწყობილობის საწარმოო წყლების გამწმენდ სისტემაში დამატების მთავარი ამოცანას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის მიერ გამოვლენილი გარემოსდაცვითი შეუსაბამობის აღმოფხვრა და შესაბამისად ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურების დაცვა წარმოადგენს.

3.3. საწარმოო წყლების გამწმენდი სისტემის დამატებითი გაუმჯობესების ღონისძიება:

სდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ობიექტზე გარემოსდაცვითი შეუსაბამობების გამოვლენის დღიდან საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს გამოვლენილი სამართალდარღვევების დროული აღმოფხვრა და ქვეყანაში მოქმედ გარემოსდაცვით ნორმებთან/სტანდარტებთან ობიექტის შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული მიზნით შპს „ტიმოს“ მიერ განსახილველ ობიექტზე დაგეგმილი იქნა საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემის მოდერნიზება და საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდის ეფექტურობის გაზრდა, კერძოდ:

- ✚ საწარმოო წყლების გამწმენდ სისტემაში მოხვედრამდე გათვალისწინებულია პირველადი სედიმენტაცია სალექარის საშუალებით. სალექარი მოეწყობა გამწმენდი სისტემის, ნალექის ჭის მომიჯნავედ (GPS: 38T X-474305, Y-4640822), რომლის პარამეტრები იქნება: სიგრძე - 5მ; სიგანე - 1,5მ და სიღრმე - 2მ. სალექარის შიდა მხარე ბეტონის საფარით იქნება დაფარული, რათა ნიადაგში არ მოხდეს საწარმოო წყლების შეწოვა/გაჟონვა. ზემოაღნიშნულის შედეგად გაიზრდება საწარმოო წყლების გაწმენდის ეფექტურობა - საწარმოო ჩამდინარე წყალი გაივლის დამატებითი გაწმენდის ეტაპს სალექარში და მხოლოდ პირველადი სედიმენტაციის შემდგომ მოხვდება/თანაბრად გადანაწილდება საწარმოო წყლების გამწმენდი სისტემის შემდგომ საფეხურზე (იხ. სურათი N3).

3.4. ობიექტზე არსებული გაწმენდის სისტემების ტექნოლოგიური სქემა:

საწარმოიდან ჩამდინარე წყალი პირველ ეტაპზე მოხვდება საპროექტო სალექარში; სალექარში პირველადი სედიმენტაციის შემდგომ ჩამდინარე წყალი თანაბრად გადანაწილდება მიწისქვეშა სალექარ-ჭაში (1 მეტრი დიამეტრი; 3 მეტრი სიღრმე), სადაც ჩაშვებულია შლამის ტუმბო (40მ³/სთ წარმადობის) - აღნიშნული შლამის ტუმბოს ფუნქციაა ჭიდან შლამიანი წყლის პერიოდული ამოღება-ამოკაჩავება, ჭაში მოწყობილი ციკლონისა და რკინის ცხურის გავლით წყლის მეორადი სედიმენტაცია და ისევ ჭაში დაბრუნება; მიწისქვეშა სალექარ-ჭაში საწარმოო წყლის მეორადი სედიმენტაციის შემდგომ წყალი გადადის ცხიმდამჭერ სისტემაში; ცხიმდამჭერის გავლის შემდეგ ეტაპზე - ნალექ და ცხიმ მოცილებული წყალი გადადის საწარმოო წყლების ბიოლოგიურ გამწმენდ დანადგარებში, სადაც მიმდინარეობს საწარმოო წყლების საბოლოო დამუშავება (ჩამდინარე წყალი გადის 3.1 ქვეთავში აღწერილ ტექნოლოგიურ პროცესებს); საბოლოო დამუშავების შემდგომ ჩამდინარე საწარმოო წყლები გადადის/იკრიბება საერთო შემკრებ ჭაში.


სამეურნეო-ფეკალური წყლები შესაბამისი სველი წერტილებიდან მიეწოდება KANN სერიის "ECO"-ს ბიოლოგიურ გამწმენდ სადგურს, სადაც გადის 3.1 ქვეთავში აღწერილ ტექნოლოგიურ პროცესს, ხოლო საბოლოო გაწმენდის შემდგომ ჩამდინარე წყალი ასევე იკრიბება საერთო შემკრებ ჭაში.

შემკრებ ჭაში აგრეთვე ხვდება შენობის სახურავზე შეკრებილი წვიმის წყალი, რომელიც საწარმოო ტერიტორიაზე მოხვედრისა და შესაძლო დაბინძურების გარეშე/გვერდის ავლით ჩართულია აღნიშნულ სისტემაში.

ჩამდინარე, როგორც საწარმოო, ისე საყოფაცხოვრებო წყლების დამუშავების-გაწმენდის შემდგომ იკრიბება საერთო შემკრებ ჭაში (150 სმ დიამეტრის და 5 მ სიღრმის), ხოლო 48 მ³/სთ წარმადობის ტუმბოს და მიწისზედა 50 მმ დიამეტრის პლასტმასის მილის

დახმარებით გადადის ტერიტორიის სიახლოვეს გამავალ არხში - რომლის გავლით ხვდება მდ. ნარეკვავში.

სურათი N4 - ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების ტენოლოგიური სქემა



3.5. ზედაპირული წყლის დაბინძურების პრევენციის დამატებითი ღონისძიება:

ზედაპირული წყლის დაბინძურების პრევენციის მიზნით კომპანია მიერ დამატებით განხორციელდა ქმედებები სანიაღვრე-წვიმის წყლების მართვასთან დაკავშირებით კერძოდ:

- საწარმო ობიექტის ტერიტორიაზე წარმოქნილი სანიაღვრე-წვიმის წყლები ასევე ხვდებოდა გამწმენდი სისტემის შემკრებ ჭაში, რაც შესაძლოა დამატებით აბინძურებდა ზედაპირული წყლის ობიექტს. აღნიშნულის პრევენციის მიზნით შპს „ტიმო“ უზრუნველყო ტერიტორიის პერიმეტრზე სანიაღვრე სისტემის/წყალსარიანი არხების (მიწის არხების) მოწყობა. სისტემა ისეა დაპროექტებული, რომ განახორციელოს სანიაღვრე წყლების სწრაფი გადინება საწარმოს ტერიტორიიდან. შედეგად სანიაღვრე-წვიმის წყლები აღარ ხვდება გამწმენდ სისტემაში - შესაბამისი სწყალსარიანი არხების საშუალებით (შესაძლო დამაბინძურებელი უბნების გვერდის ავლით) გადის ტერიტორიიდან და ბუნებრივად შეიწოვება მიწის ზედაპირზე.

3.6. შემოჯამებული:

ობიექტზე დაცული იქნება, როგორც გარემოსდაცვითი, ისე უსაფრთხოების სტანდარტები და შესაძლებელი იქნება გამწმენდი დანადგარების გამართული ოპერირება. საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია პერმანენტულად უზრუნველყოფს გამწმენდი აღჭურვილობების გამართულობის მონიტორინგს და ნებისმიერი დაზიანება, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ავარიის რისკებთან ან/და გარემოს დაზიანებებსა და დაუყოვნებლის აღმოფხვრება. გამწმენდი სისტემის ეფექტურობის გაზრდის მიზნით პერმანენტულად იქნება გატარებული ასევე შესაბამისი ღონისძიებები, რაც გულისხმობს სისტემის ლამისგან გაწმენდას, ფილტრების გაწმენდა-შეცვლას და ა.შ. სწორად მოქმედი სადგურის შემთხვევაში ჩამდინარე წყალი იქნება მუდმივად გამჭვირვალე, სუფთა და არ წარმოქმნის არასასიამოვნო სუნს.

4. საქმიანობის განხორციელების ადგილი:

შპს „ტიმო“-ს ლოკოკინების გადამამუშავებელი საწარმოო ობიექტი და შესაბამისად ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემა განთავსებულია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ წილკანის ტერიტორიაზე, კომპანიის საკუთრებაში არსებული არასასაფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ - 72.02.38.172). განსახილველი ობიექტიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი (სოფ. წეროვანი) დაახლოებით 950 მეტრი მანძილით არის დაშორებით (იხ. რუკა N4). უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. ნარეკვავი) გამოკვლეული ობიექტიდან დაშორებულია დაახლოებით 910 მეტრით.

ტერიტორიაზე განთავსებულია ლოკოკინების დაგამამუშავებელი საწარმოო შენობა და დამხმარე ინფრასტრუქტურული ერთეულები. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები/სისტემები განთავსებულია საწარმოო ტერიტორიის აღმოსავლეთ ნაწილში, ერთმანეთის მომიჯნავედ (მიზის ზედაპირის ქვეშ), შემდეგ მიახლოებით GPS კოორდინატებზე: საწარმოო წყლების გამწმენდი სისტემის, მათ შორის ცხიმდამჭერის, ადგილის დაახლოებითი GPS კოორდინატებია - 38T X 474312, Y 4640817, ხოლო საპროექტო სალექარის - 38T X 474305, Y 4640818; საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემის ადგილის დაახლოებითი კოორდინატებია - 38T X 474321 Y 4640815; ჩამდინარე წყლების შემკრები ჭის მიახლოებითი კოორდინატებია - 38T X 474329, Y 4640814. ჩამდინარე წყლების დამუშავების და შემკრებ ჭაში შეკრების შემდგომ გაწმენდილი წყლის ჩაშვება ხორციელდება შემდეგ GPS კოორდინატებზე - 38T X 474376 Y 4640893, ტერიტორიის სიახლოვეს გამავალ არხში, რომელიც მდ. ნარეკვავს უერთდება (საკადასტრო მონაცემების გადამოწმებით აღნიშნული არხი არ წარმოადგენს შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ ბალანსზე რიცხულ სამელიორაციო არხს).

ლოკოკინების საწარმოო ობიექტის და შესაბამისი დამამხმარე ინფრასტრუქტურული ერთეულების, მათ შორის ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების მოწყობამდე გამოკვლეული ტერიტორია წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს, გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად და წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზეწოლას. დღეის მდგომარეობით საკვლევ ლოკაციაზე ანთროპოგენური ზეწოლის სახე შეიცვალა (მათ შორის დამატებით ზემოქმედებას დაექვემდებარა ნიადაგის ნაყოფიერი ფენა) და მოეწყო ლოკოკინების გადამამუშავებელი სწარმო, შესაბამისი დამამხმარე აღჭურვილობით (მათ შორის ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემები), რომელიც 2022 წლიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

მომდევნო გვერდებზე, რუკებზე N1, N2 და N3 იხილეთ საწარმოო ობიექტის ადგილმდებარეობა, განსახილველი ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემებისა და წყალჩაშვების ადგილის მიახლოებითუ მდებარეობების მითითებით.


რუკა N1 - საქმიანობის განხორციელების ადგილის რუკა



რუკა N2 - გამწმენდი სისტემის მიახლოებითი ადგილმდებარეობის მითითებით



რუკა N3



4.1. საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

I - დასახლებულ ტერიტორიასთან: განსახილველი ობიექტი განთავსებული არ არის მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიის სიახლოვეს. ტერიტორია მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წილკანის ტერიტორიაზე, საიდანაც პირდაპირი მანძილი უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე / იდენტიფიცირებულ უახლოეს საცხოვრებელ შენობა-ნაგებობამდე) დაახლოებით 950 მ-ს შეადგენს.

დაშორების მანძილის გათვალისწინებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე ლოკოკინების ფერმისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების მოწყობა-ექსპლუატაციით, დასახლებულ ტერიტორიასთან მიმართებით ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. ამასთან, გასათვალისწინებელია რომ გამწმენდი სისტემები განთავსებულია მიწისქვეშ, დახურულ სივრცეში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს შესაძლო არასასიამოვნო სუნის გავრცელების რისკებს, ასევე არ აზინძურებს გარემოს ვიზუალურ ეფექტს. საქმიანობის განხორციელების ადგილისა და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ზემოქმედება დასახლებულ ტერიტორიაზე მოსალოდნელი არ არის (აღნიშნული დასტურდება ასევე საქმიანობის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგით - მე-6 თავი).

ზემოაღნიშნული გარემოებების, მათ შორის ტერიტორიული და ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების ტექნიკურ-ტექნოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით

შესაძლებელია დავასკვნათ, რომ - საკვლევი ადგილი და განსახილველი საქმიანობა, როგორც ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების, ისე ლოკოკინების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის ნაწილში თავსებადია უახლოეს დასახლებულ ზონასთან.

რუკა N4



II - ჭარბტენიან ტერიტორიასთან: atlas.mepa.gov.ge-ის და maps.gov.ge-ის მონაცემების გადამოწმებით დგინდება, რომ საკვლევი რეგიონის ფარგლებში წარმოდგენილი არ არის ჭარბტენიანი-დაჭაობებული ტერიტორიები. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით ჭარბტენიან-დაჭაობებულ ტერიტორიებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საქმიანობის ან/და მისი განხორციელების ადგილის ჭარბტენიან-დაჭაობებულ ტერიტორიებთან თავსებადობის საკითხი შეფასებას არ საჭიროებს.

III - შავი ზღვის სანაპირო ზოლთან: საკვლევი ტერიტორიის მდებარეობის გათვალისწინებით, რომელიც საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან - ასევე დგინდება, რომ საქმიანობის ან/და მისი განხორციელების ადგილის შავი ზღვის სანაპირო ზოლთან თავსებადობის საკითხი შეფასებას არ საჭიროებს.

IV - ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები: საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის ტყით დაფარული ტერიტორიის ათვისება. საქმიანობა ხორციელდება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც წარმოდგენილი არ არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები - შესაბამისად დგინდება, რომ საქმიანობა და მისი განხორციელების ადგილი თავსებადია ტყით დაფარული ტერიტორიასთან, მათ შორის შესაძლო ზემოქმედების არეალში არ ექცევა საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

V - დაცულ ტერიტორიებთან: მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ობიექტიდან უახლოესი დაცული ტერიტორია (თბილისის ეროვნული პარკი) დაახლოებით 5 კმ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული. ობიექტის ადგილმდებარეობის და პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქმიანობა და მისი განხორციელების ადგილი თავსებადია დაცულ ტერიტორიებთან და საკითხი დამატებით შეფასებას არ საჭიროებს.

VI - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან: memkvidreoba.gov.ge-ის ინტერაქტიული რუკის მონაცემების მიხედვით, საკვლევი არიალში არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები/ობიექტები. კერძოდ, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის განთავსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ობიექტი და ის არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში - შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები. მოცემული გარემოების შესაბამისად დგინდება, რომ საქმიანობისთვის შერჩეული ტერიტორია თავსებადია ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და აღნიშნული სახის ობიექტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

VII - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან): maps.municipal.gov.ge-ის ინტერაქტიული რუკის მონაცემების მიხედვით, საკვლევი რეგიონში არ ფიქსირდება მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმა, სადაც შესაძლოა გამოყოფილიყო ყოფილიყო ლანდშაფტური, სარეკრეაციო ან/და სატყეო ზონები. atlas.mepa.gov.ge-ის მონაცემების მიხედვით, საკვლევი ადგილის სიახლოვეს წარმოდგენილი არ არის სახლემწიფო ტყის ტერიტორიები. maps.gov.ge-ის მონაცემების შესაბამისად ობიექტის სიახლოვეს წარმოდგენილი არ არის სარეკრეაციო ტერიტორიები. აღნიშნული გარემოებების შესაბამისად დგინდება, რომ საქმიანობა და მისი განხორციელების ადგილი თავსებადია როგორც ლანდშაფტურ, ისე სარეკრეაციო, სატყეო ტერიტორიებთან/ზონებთან და საკითხი დამატებით შეფასებას არ საჭიროებს.

5. ობიექტის წყლმომარაგება-წყლარინების საკითხები:

განსახილველი ობიექტზე - ლოკოკინების გადამამუშავებელ საწარმოში წყალი გამოიყენება, როგორც საწარმოო, ისე სასმელ-სამურნეო მიზნებისთვის. ტერიტორიაზე არსებული ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემები დამატებით წყლის რესურსის გამოყენებას არ საჭიროებს.

ლოკოკინების გადამამუშავებელ საწარმოს წყალმომარაგების მიზნით კომპანიას მოწყობილი აქვს ჭაბურღილი, საიდანაც წლის განმავლობაში ხორციელდება 5 000 მ³-ის ოდენობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება. შპს „ტიმეო“-ზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებით 2022 წლის 2 ნოემბერს სსიპ მინერალური რესურსების სააგენტოს მიერ გაცემულია № 144 ბრძანება-ლიცენზია. მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება ხორციელდება ლიცენზიით განსაზღვრული პირობების დაცვის შესაბამისად.

ლოკოკინების გადამამუშავებელ საწარმოო ობიექტზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით შპს „ტიმეო“-ს მოწყობილი აქვს შესაბამისი გამწმენდი სისტემები - დამუკიდებლად როგორც საწარმოო, ისე საყოფაცხოვრებო დაბინძურებული

წყლებისათვის. გამწმენდ სისტემებზე ჩამდინარე წყლების დამუშავების შემდგომ წყალი იკრიბება საერთო შემკრებ ჭაში. შემკრებ ჭაში ასევე ხვდება შენობის სახურავზე შეკრებილი სანიაღვრე-წვიმის წყალი, რომელიც არ არის დაბინძურებული. გამწმენდის შემდგომ ჩამდინარე წყლები, საწარმოს სიახლოვეს გამავალი არხის საშუალებით, ჩაედინება მდ. ნარეკვაში (დეტალური ინფორმაცია იხ. ანგარიშის მე-3 თავში).

ტერიტორიის პერიმეტრზე მოწყობილია სანიაღვრე სისტემა/წყალსარინი არხები (მიწის არხების). სისტემა ისეა დაპროექტებული, რომ განახორციელოს სანიაღვრე წყლების სწრაფი გადინება საწარმოს ტერიტორიიდან. შედეგად ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე-წვიმის წყლები არ ხვდება გამწმენდ სისტემაში - შესაბამისი სწყალსარინი არხების საშუალებით გადის ტერიტორიიდან და ბუნებრივად შეიწოვება მიწის ზედაპირზე.

6. საქმიანობის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი:

განსახილველი ობიექტის საპროექტო მახასიათებლების ანალიზის შედეგად განხორციელდა გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი, მათ შორის გამოიკვეთა პოტენციური ზემოქმედების წყაროები, ხოლო ობიექტური შეფასებების საფუძველზე დადგინდა მოსალოდნელი ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა. მომდევნო ქვეთავებში აღწერილია სკრინინგის პროცედურის შედეგად გამოვლენილი/გამოკვეთილი პოტენციური ზემოქმედების წყაროები, გაანალიზებულია მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობა და მოცემულია შესაბამისი დასკვნები.

ვინაიდან საკვლევ ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი დანადგარები, საქმიანობის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგს დაექვემდებება ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების ექსპლუატაცია. როგორც მე-6 თავის შესაბამის ქვეთავებში მოცემული განმარტებებიდან დასტურდება საპროექტო მახასიათებლებისა და საქმიანობის მასშტაბის გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე არ შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც „მნიშვნელოვანი“. ობიექტზე გარემოსდაცვითი და გამწმენდი სისტემების ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სადგურების გამართული ოპერირება.

თეორიული მსჯელობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიწისქვეშა გამწმენდი სისტემების მოწყობის ეტაპი დაკავშირებული იქნებოდა ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედებასთან. შპს „ტიმეოს“ წარმომადგენლების განმარტებით, გამწმენდი სისტემების მოწყობის ეტაპზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოხსნილი და დასაწყობებული იქნა საწარმოს ტერიტორიაზე, რომელიც ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურების მოწყობის შემდგომ გამოყენებული იქნა შევსება-რეკულტივაციის მიზნებისათვის. სადგურების მოწყობა დაკავშირებული არ ყოფილა ბუნებრივი ლანდშაფტის მნიშვნელოვან ცვლილებასთან ან/და ახალი-გამოუყენებელი ტერიტორიის ათვისებასთან. სადგურების მოწყობისთვის საჭირო არ ყოფილა მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების წარმოება.

განსახილველი ობიექტის ადგილმდებარეობის და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლო ზემოქმედების ანალიზს, როგორც მშენებლობის ისე

ექსპლუატაციის ეტაპისთვის, არ დაეკვემდებარა ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. საქმიანობით მოსლოდნელი ირიბი სახის ზემოქმედება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მდინარის ბიოლოგიურ გარემოზე, რომელიც განხილულია სკრინინგის ანგარიშის 6.3 თავის 6.3.1 ქვეთავში.

6.1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი:

ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება დაკავშირებულია გამწმენდი ნაგებობების მუშაობის პროცესთან. სადგურების ექსპლუატაციის დროს გამოიყოფა ასევე არასასიამოვნო სუნის (გაზები).

შპს „ტიმოს“ საწარმოო ობიექტზე არსებული გამწმენდი ნაგებობები წარმოადგენს დახურული ტიპის სადგურებს, რომლებიც განთავსებულია მიწის ქვეშ. შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მიწისქვეშა დახურულ სისტემაში განხორციელებული პროცესებით ატმოსფერული ჰაერის მნიშვნელოვანი დაბინძურება მოსალოდნელი არ არის, ხოლო უსიამოვნო სუნის გავრცელება დაბალ მნიშვნელობას ატარებს. ამასთან, გასათვალისწინებელია გამწმენდი ნაგებობის მცირე წარმადობა, რომელიც დამატებით გარემობას წარმოადგენს შესაძლო ზემოქმედების დაბალი მნიშვნელობის გამოსაკვეთად.

არასასიამოვნო სუნის გავრცელებას ადგილი ექნება ასევე ნაგებობებიდან ლამის/დანალექის ამოღების პროცესში, რომელიც საშუალოდ წელიწადში ერთხელ განხორციელდება და გაგრძელდება მაქსიმუმ 30-45 წუთი. უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე დაშორების მანძილისა (რაც თავისთავად ამცირებს უსიამოვნო სუნის გავრცელებას) და სისტემიდან შალამის ამოღების სიხშირის-დორის პერიოდის გათვალისწინებით დგინდება რომ აღნიშნულ პროცესს არ ექნება შემაწუხებელი ეფექტი უახლოეს მოსახლეობაზე. საპასპორტე მონაცემების მიხედვით სწორად მოქმედი სადგურების შემთხვევაში წყალი არის მუდამ გამჭვირვალე, სუფთა და არა აქვს არასასიამოვნო სუნის.

ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემები/სადგურები, საპროექტო მახასიათებლების (ტიპის, წარმადობისა, გაბარიტების) გათვალისწინებით არ შეიძლება ჩაითვალოს ატმოსფერული ჰაერის ფონური მდგომარეობის ცვლილებისა და შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელოვან წყაროდ. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული, მათ შორის არასასიამოვნო სუნის გამომწვევე ნივთიერებების გაფრქვევის ინტენსივობები იმდენად მცირე იქნება, რომ მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობები უახლოეს დასახლებულ პუნქტთან, რომელიც 950 მეტრი მანძილით არის დაშორებული საკვლევი ობიექტიდან, ვერ გადააჭარმებს დასაშვებ მნიშვნელობებს.

ვინაიდან შპს „ტიმოს“ საქმიანობის სფეროს განეკუთვნება ლოკოკინების გადამუშავება, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოს კანონის - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I და II დანართებით განსაზღვრულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე ვრცელდება გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები - კომპანიის დაკვეთით დამუშავების/განახლების პროცესშია ასევე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში (რომლის პირველადი სახე დახარვეზებული იქნა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მიწის კატეგორიის შეუსაბამობის გამო).

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის განახლებულ ტექნიკურ ანგარიშში გაფრქვევის წყარობად გათვალისწინებული იქნება ასევე ტერიტორიაზე არსებული ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემები.

წინასწარი მონაცემებით (ლოკოკინების გადამამუშავებელი საწარმოს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშით) ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების კონცენტრაციები არ აჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მაჩვენებლებს, რომელთა მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არ არის ასევე გამწმენდი სადგურების გათვალისწინების შემთხვევაში (მათ შორის, გამწმენდი სისტემების საპროექტო მახასიათებლებიდან (ტიპი, წარმადობა, გაბარიტები) გამომდინარე).

ობიექტის ოპერატორი კომპანია უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით (ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობებისთვის) განსაზღვრული ნორმების დაცვას. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი იქნება ობიექტის მიერ ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების თვითმონიტორინგის (პად ფორმების) წარმოება და ყოველწლიური ანგარიშების სააგენტოსთვის წარდგენა (<https://emoe.gov.ge/>).

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის უახლოეს დასახლებულ ზონამდე დაშორების მანძილისა და გამწმენდი სისტემების ტიპის (მიწისქვეშა) გათვალისწინებით ირკვევა, რომ საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით და არასასიამოვნო სუნის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რომელიც შესაძლოა დეტალურ შეფასებას/ანალიზს ან/და შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას საჭიროებდეს.

6.2. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი:

საკვასპორტე მონაცემებით მიხედვით გამწმენდი სადგურები პრაქტიკულად ჩუმად მუშაობენ, რაც შესაძლებელს ხდის შენობების მახლობლად სადგურების დამონტაჟებასა და ექსპლუატაციას. გამწმენდი ობიექტები არ ითვალისწინებს მაღალი ხმაურის წარმომქმნელი დანადგარების ექსპლუატაციას, ხოლო შესაძლო ხმაურწარმომქმნელი ელემენტები განთავსებულია დახურულ სისტემაში, მიწის ქვეშ რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედების არსებობას.

განსახილველი ობიექტის ექსპლუატაციის დროს ხმაურის გავრცელებით სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სტანდარტიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია დაცული იქნეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ. წარმოდგენილი დადგენილებით განსაზღვრულია აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები საცხოვრებელი სახლებისა და

საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე.


ცხრილი N2

№	სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები	დასაშვები ნორმები		
		L _{დღე} (დბA)		L _{ღამე} (დბA)
		დღე	საღამო	
1	სასწავლო დაწესებულებები და სამკითხველოები	35	35	35
2	სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო კაბინეტები	40	40	40
3	საცხოვრებელი და საძილე სათავსები	35	30	30
4	სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პალატები	35	30	30
5	სასტუმროების/ სასტუმრო სახლების/ მოტელის ნომრები	40	35	35
6	სავაჭრო დარბაზები და მისაღები სათავსები	55	55	55
7	რესტორნების, ბარების, კაფეების დარბაზები	50	50	50
8	მაყურებლის/მსმენელის დარბაზები და საკრალური სათავსები	30	30	30
9	სპორტული დარბაზები და აუზები	55	55	55
10	მცირე ზომის ოფისების (≤ 100 მ ³) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე	40	40	40
11	დიდი ზომის ოფისების (≥ 100 მ ³) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკით	45	45	45
12	სათათბირო სათავსები	35	35	35
13	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა ≤ 6) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს	50	45	40
14	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს (სართულების რაოდენობა > 6), კულტურულ, საგანმათლებლო, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებს	55	50	45
15	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან სასტუმროებს, სავაჭრო, მომსახურების, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს	60	55	50

მოსალოდნელი ხმაურის დონის მოქმედი დადგენილებით გათვალისწინებულ ნორმებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით მნიშვნელოვანია - ტერიტორიაზე არსებული ხმაურის ფონური მნიშვნელობის განსაზღვრა. გამოკვლეული ინფორმაციით ტერიტორიაზე ხმაურის პოტენციური წყაროებია: ლოკოკინების გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც დახურულ სივრცეში მიმდინარეობს, გამწმენდი სისტემების მუშაობა, რომელიც ასევე დახურულ სივრცეში მიმდინარეობს და ტუმბო-დანადგარების მუშაობა, რომელიც მიმდინარეობს, როგორც დახურულ ისე ღია სივრცეებში. აღნიშნული ხმაურ წარმომქმნელი წყაროების ერთდროული მუშაობის (რაც უარეს სცენარს წარმოადგენს) შედეგად საწარმო ტერიტორიაზე, ღია სივრცეში, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს მაქსიმუმ 65 დბა ხმაურის გავრცელებას.

ონაღონ პროგრამის საშუალებით გაკეთებული მოდელირებით, სადაც დაშვებული იქნა, როგორც შესაძლო ხმაურის მაქსიმალური დონე (65 დბ) და სიმძლავრე (500 Hz), ისე ხმაურის წარმოქმნის უბანსა და უახლოეს დასახლებას შორის არსებული მანძილი დგინდება, რომ 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით (<https://matsne.gov.ge/ka/document/download/3779710/0/ge/pdf>) განსაზღვრული ხმაურის დასაშვები ნორმების გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. უახლოეს დასახლებამდე ხმაურის მაქსიმალურმა დონე ნულს ქვემოთა და -2.5 დბ-ს შეადგენს.

სურათი N5



მოცემული გარემოების, მათ შორის ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურების ექსპლუატაციის სპეციფიკის, ასევე უახლოეს დასახლებულ ზონამდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რომელიც შესაძლოა დეტალურ შეფასებას/ანალიზს ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დასხვა-განხორციელებას საჭიროებდეს.

6.3. წყლის გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი:

გამწმენდი სისტემების გაუმართავი ოპერირების შემთხვევაში საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურებასთან. ზოდადად ობიექტზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების არსებობა დადებით გარემოსდაცვით ღონისძიებას წარმოადგენს და მიმართულია წარმოქმნილი დაბინძურებული წყლების ეფექტური მართვის, ასევე ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურების პრევენციისკენ. გამართული ოპერირებისა და საპასპორტე პარამეტრების დაცვის პირობებში გამწმენდი სადგურების ფუნქციონირება დაკავშირებული არ იქნება გარემოზე ზემოქმედებასთან, მათ შორის ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურებასთან.

არსებული ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურების საპასპორტე მონაცემების მიხედვით თუ ადგილი აქვს ამღვრეული-დაბინძურებული წყლის არსებობას ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურების გამოსასვლელთან ეს ნიშნავს, რომ - გაწმენდილ წყალში ჯერ კიდევ არსებობს კოლოიდური ნაწილაკები. ზოგადად, ეს ხდება სადგურის ექსპლუატაციაში მიღების დროს, აქტიური შლამის საკმარისი რაოდენობის ჩამოყალიბებამდე ან/და ბიოლოგიური დამუშავების პროცესების სტაბილიზაციამდე. მიზეზი შეიძლება იყოს ასევე ჩამდინარე წყლების ხარისხის მახასიათებლების შეცვლა, ჩამდინარე წყლების შეუსაბამობა სადგურის ნომინალურ მწარმოებლურობასთან, საკანალიზაციო წყლების შემთხვევაში ფეკალური ნარჩენების დაბალი ნაკადი, სადგურის ჰიდრაულიკური გადატვირთვა და სხვ. აღმოფხვრის გზებს წარმოადგენს ჩამდინარე, როგორც საწარმოო ისე საყოფაცხოვრებო, წყლების მახასიათებლების გამწმენდ სადგურებთან შესაბამისობაში მოყვანა და გამწმენდი სადგურების საპასპორტე მოთხოვნების დაკმაყოფილება/დაცვა.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ლოგიკური მსჯელობით შესაძლებელია დავასკვნათ რომ - ვინაიდან საწარმოო ობიექტზე გამწმენდი სისტემები/დანადგარები ახალი მოწყობილია და ჯერ კიდევ დახვეწის/ოპტიმიზაციის პროცესშია, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ობიექტის შემოწმებისა და ჩამდინარე წყლის სინჯების აღების მომენტში - ჩამდინარე წყლების სტაბილიზაცია ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული სათანადო დონეზე/სტანდარტზე, რამაც გამოიწვია ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურება. მათ შორის, გამწმენდი სისტემების საპასპორტე მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ შემოწმების განხორციელების დროს გამწმენდ სისტემაში ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული აქტიური შლამის საკმარისი რაოდენობა ან/და არ იყო დასტაბილიზირებული ბიოლოგიური დამუშავების პროცესები ან/და ჩამდინარე წყლების მახასიათებლები არ შეესაბამებოდა სადგურის ნომინალურ მწარმოებლურობას ან/და სხვ.

დღეის მდგომარეობით სიატუაცია შეცვლილია - საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია ობიექტზე გარემოსდაცვითი შეუსაბამობების გამოვლენის დღიდან ზედმიწევნით მიჰყვება ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების/სადგურების საპასპორტე მახასიათებლებით დადგენილ მოთხოვნებს/მითითებებს, რათა უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების მუდმივი სტაბილიზაცია. ჩამდინარე წყლების

გაწმენდის ეფექტურობის გაზრდის მიზნით კომპანიის ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება ასევე დამატებითი ქმედებები, მათ შორის:

- საწარმოო ჩამდინარე წყლების დამატებითი სტაბილიზაციის მიზნით დაგეგმილია სალექარის მოწყობა, კერძოდ საწარმოო წყლის გამწმენდი სისტემის შემდგომ საფეხურებზე მოხვედრამდე გათვალისწინებულია წლის პირველადი სედიმენტაცია სალექარის საშუალებით. საწარმოო ჩამდინარე წყალი გაივლის დამატებითი დაწმენდის ეტაპს სალექარში და მხოლოდ პირველადი სედიმენტაციის შემდგომ მოხვდება/თანაბრად გადანაწილდება გამწმენდი სისტემის შემდგომ საფეხურზე. სალექარი მოეწყობა საწარმოო წყლების გამწმენდი სისტემის მომიჯნავედ (პარამეტრებით: სიგრძე - 5მ; სიგანე - 1,5მ და სიღრმე - 2მ). სალექარის შიდა მხარე იქნება ბეტონის საფარით დაფარული, რათა ნიადაგში არ მოხდეს საწარმოო წყლების შეწოვა;
- საწარმოო წყლების გაწმენდის ეფექტურობის გაზრდის მიზნით გამწმენდ სისტემაში დამატებული იქნა ასევე ნალექის მოსაშორებელი მოწყობილობა, რომელიც წარმოდგენს დამატებით სალექარ-ჭას;
- ზედაპირული წყლის დაბინძურების პრევენციის მიზნით კომპანიის მიერ დამატებით განხორციელდა ქმედებები ასევე სანიაღვრე-წვიმის წყლების მართვასთან დაკავშირებით, კერძოდ: ვინაიდან საწარმოო ობიექტის ტერიტორიაზე წარმოქნილი სანიაღვრე-წვიმის წყლები ასევე ხვდებოდა გამწმენდი სისტემის შემკრებ ჭაში, რაც შესაძლოა დამატებით აბინძურებდა ზედაპირული წყლის ობიექტს - შპს „ტიმომ“ უზრუნველყო ტერიტორიის პერიმეტრზე სანიაღვრე სისტემის/წყალსარიანი არხების (მიწის არხების) მოწყობა და სანიაღვრე წვიმის წყლების ორგანიზებულად შეკრება. სისტემა ისეა დაპროექტებული, რომ განახორციელოს სანიაღვრე წყლების სწრაფი გადინება საწარმოს ტერიტორიიდან. შედეგად სანიაღვრე-წვიმის წყლები აღარ ხვდება გამწმენდ სისტემის საერთო შემკრებ ჭაში - შესაბამისი სწყალსარიანი არხების საშუალებით (შესაძლო დამაბინძურებელი უბნების გვერდის ავლით) გადის ტერიტორიიდან და ბუნებრივად შეიწოვება მიწის ზედაპირზე.

ზედაპირული წყლის ობიექტის შემდგომი დაბინძურების პრევენციის მიზნით დაგეგმილია ჩამდინარე წყლების ხარისხის კვარტლური მონიტორინგის წარმოება, რაც კომპანიას შესაძლებლობას მისცემს დროულად გამოავლინოს და აღკვეთოს მდინარის დაბინძურების ფაქტები. მეტი ეფექტურობის მიზნით სამონიტორინგო ლოკაციებად განისაზღვრება ჩაშვების წერტილის ზედა დინება (დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით ჩაშვების წერტილიდან), უშუალოდ ჩაშვების წერტილი და ჩაშვების წერტილის ქვედა დინება (დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით ჩაშვების წერტილიდან). სამივე ნიშნულზე აღებული წყლის სინჯების გამოკვლევა საქმიანობის განმახორციელებელს საშუალებას მისცემს ნათლად დაინახოს/გაანალიზოს მიღებული შედეგები, ზემოქმედების შესაძლო მნიშვნელობა და საჭიროების შემთხვევაში დაგეგმოს დამატებითი შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები.

ვინაიდან განსახილველი გამწმენდი სადგურები განთავსებულია მიწისქვეშა მოპირკეთებულ სივრცეში და ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს დახურულ სისტემაში - მიწისქვეშა/გრუნტის წყლების დაბინძურების რისკი არ არსებობს, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა მნიშვნელოვანია გამწმენდი სისტემებისა და ჭების მუდმივი კონტროლო შესაძლო დაზიანების (ჰერმეტიკულობის დარღვევის) დროული აღმოჩენა-აღმოფხვრისა და მიწისქვეშა წყლების შესაძლო დაბინძურების დროული პრევენციის

მიზნით. მიწისქვეშა გრუნტის წყლების დაბინძურება არ მომხდარა ასევე ზემოაღწერილი გამწმენდი სისტემების მოწყობის დროს, ვინაიდან სამუშაო სიღრმეებზე (3-5 მ) მიწისქვეშა/გრუნტის წყლები არ გამოვლენილა. აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ არც საპროექტო სალექარის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე ზემოქმედებასთან, მათ შორის სალექარის ტიპის გათვალისწინებით (სალექარის შიდა მხარე იქნება ბეტონის საფარით დაფარული) ზემოქმედება არც ექსპლუატაციის ეტაპზეა მოსალოდნელი.

წყლის გარემოს დაბინძურება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების დაზიანებასთან ან/და არა სათანადო ტექნიკურ მომსახურებასთან. აღნიშნული მიმართულებით სწორი ღონისძიებების დაგეგმვა და შესაძლო დაბინძურების მუდმივი კონტროლი - წყლის გარემოს დაბინძურების პრევენციის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორებია. საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების ყოველი გაწმენდის შემდგომ უზრუნველყოფს სისტემის გამართულობის აუდიტის ჩატარებას, დარღვევის აღმოჩენის შემთვევაში - მის გამოსწორებამდე სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაშვებული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის კომპანიის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ობიექტის ოპერირება არ იქნება დაკავშირებული წყლის (ზედაპირული ან/და მიწისქვეშა) გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან და აღნიშნული მიმართულებით დამატებითი კვლევების განხორციელების საჭიროება არ დგას.

6.3.1. შესაძლო ზემოქმედება მდინარის ბიოლოგიურ გარემოზე

მდინარის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელია ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების გაუმართავი ოპერირების შემთხვევაში, ზედაპირული წყლის ობიექტში შეწონილი ნაწილაკებისა და სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრული კონცენტრაციების გადაჭარბების დროს.

წინამდებარე თავში (6.3), როგორც განიმარტა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი შეუსაბამოა გამოწვეული იყო (სინჯების აღების მომენტში) ჩამდინარე წყლების არასტაბილურ მახასიათებლებთან, რაც აიხსნება სადგურის ექსპლუატაციაში მიღების დროს-საწყის ეტაპებზე ჩამდინარე წყლების დამუშავების პროცესების ოპტიმიზაცია/დახვეწასთან. ჩამდინარე წყლების გაწმენდა-დამუშავების ოპტიმიზაციის (რაც შესაძლო დაკავშირებული იყოს აქტიური შლამის საკმარისი რაოდენობის ჩამოყალიბებასთან ან/და ბიოლოგიური დამუშავების პროცესების სტაბილიზაციასთან) შემდგომ, გამწმენდი სადგურების საპასპორტე პარამეტრებისა და ტექნიკური მომსახურების დაცვის პირობებში ზედაპირული წყლის დაბინძურების და შედეგად მდინარის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები არ არსებობს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიურ გამწმენდ სადგურებში ჩამდინარე წყლების დამუშავების შემდგომ წყალი მდინარეში ნარეკვავში მოხვედრამდე (დაახლოებით 1000 მტრეზე) გაივლის არხს - როგორც წესი, ჩამდინარე წყლის მდინარის წყალში განზავების შემდეგ, შესაძლო დაბინძურების მაჩვენებელი კიდევ უფრო ნაკლები იქნება, არ გადაჭარბებს ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას და არ მოახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას მდინარის ბიოლოგიურ გარემოზე. გრადა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა კომპანია უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლის ხარისხის მუდმივი მონიტორინგის განხორციელებას - შედეგად მოახდენს ზემოქმედების დროულად დადგენა-აღმოფხვრას.

6.4. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი:

ლოკოკინების საწარმო ობიექტის და შესაბამისი დამამხმარე ინფრასტრუქტურული ერთეულების, მათ შორის ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების მოწყობამდე გამოკვლეული ტერიტორია წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს, გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად და წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზეწოლას. დღეის მდგომარეობით საკვლევ ლოკაციაზე ანთროპოგენური ზეწოლის სახე შეიცვალა მოეწყო ლოკოკინების გადამამუშავებელი სწარმო, შესაბამისი დამამხმარე აღჭურვილობით (მათ შორის ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემები) და ზემოქმედებას დაექვემდებარა ნიადაგის ნაყოფიერი ფენა.

გამწმენდი სისტემების, ისევე როგორც საწარმო ობიექტისა და დამამხმარე ინფრასტრუქტურული ერთეულების ტერიტორიაზე მოწყობის დროს დაცული იქნა „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის: ტერიტორიის ექსკავაციის პირველ ეტაპზე მოიხსნა ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და 2 მ სიმაღლის, 35% დახრილობის ყრილის სახით დასაწყობდა სამუშაო ზონის სიახლოვეს; საექსკავაციო და სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ნაყოფიერი ფენა გამოყენებული იქნა ტერიტორიის სარეკულტივაციო სამუშაოებისათვის.

ანალოგიური მიდგომა გავრცელდება, ასევე საპროექტო სალექარის მოწყობის დროსაც. მიუხედავად იმისა რომ საპროექტო სალექარი, პარამეტრებიდან გამომდინარე არ საჭიროებს ფართო მასშტაბის საექსკავაციო სამუშაოებს - პირველ ეტაპზე მოიხსნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, დროებით დასაწყობდება თხრილის სიახლოვეს და გამოყენებული იქნება სალექარის მიმდებარე დაზიანებული ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნებისთვის.

გამწმენდი სისტემების შემდგომი ექსპლუატაცია, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით დაკავშირებული არ არის ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული გარემოებების/განმარტებების გათვალისწინებით დგინდება, რომ საქმიანობა დაკავშირებული არ ყოფილა და არ იქნება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტის ხარისხზე შესაძლო მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. აღნიშნული კუთხით დამატებითი კვლევების ჩატარების ან/და შემაბრილებელი ღონისძიებების დასახვა-განხორციელების საჭიროება არ დგას.

6.5. ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი:

საკვლევი საქმიანობის განხორციელება - ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურების/სისტემების ექსპლუატაცია დაკავშირებული არ არის ნარჩენების მასშტაბური რაოდენობის წარმოქმნასთან და შედეგად გარემოს დაზიანებურებასთან.

ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურების ექსპლუატაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნული ტიპის ობიექტებზე ძირითადად ადგილი აქვს შლამისა და ნალექის დაგროვებას. გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი ლამი, ტექნოლოგიური პროცესის თანმდევი ნაწილია, რომელის სწორი მენეჯმენტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ღონისძიებას წარმოადგენს.

საწარმო ობიექტზე მოწყობილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურებიდან, სადგურების სიმძლავრის გათვალისწინებით, ლამის განტვირთვის საჭიროება წელიწადში ერთხელ დგას. წლის განმავლობაში ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემებიდან ადგილი აქვს დაახლოებით 8-9 ტონა ლამის წარმოქმნას. ტერიტორიიდან გატანამდე ლამს უტარდება ლაბორატორიული შემოწმება - **არასახიფათო ნარჩენად** იდენტიფიცირების შემთხვევაში ტექნოლოგიური სისტემიდან (როგორც საწარმოო წყლების გამწმენდი, ისე საკანალიზაციო წყლების გამწმენდი სისტემიდან) ამოღებული ლამის გატანა ხორციელდება საკანალიზაციო მომსახურების კომპანიის (სანტექსერვისის) მიერ, მუნიციპალურ საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვების მიზნით. არასახიფათო ნარჩენად იდენტიფიცირების შემთხვევაში ლამის გატანა შესაძლებელია ასევე საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე, პოლიგონის ოპერატორი კომპანიის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად. **სახიფათო ნარჩენად** იდენტიფიცირების შემთხვევაში ტექნოლოგიური პროცესების შედეგად დაგროვილი ლამი გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას (შპს „სანიტარს“, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ნებართვა აღნიშნული ტიპის ნარჩენების დამუშავებაზე/მართვაზე).

დღეის მდგომარებით - ვინაიდან ცხიმდამჭერ მოწყობილობაში ადგილი არ აქვს დიდი რაოდენობით ცხიმის დაგროვებას, ცხიმდამჭერი მოწყობილობიდან ცხიმის ამოღების საჭიროება არ დამდგარა. ცხიმდამჭერში დაგროვილი ცხიმის განტვირთვის საჭიროების დროს ასევე დაცული იქნება ზემოაღნიშნული მიდგომები, კერძოდ ამოღებულ მასას ჩაუტარდება ლაბორატორიული ანალიზი და მისი მართვა განხორციელდება მასის სახიფათოობის ან/და არასახიფათოობის მახასიათებლებიდან გამომდინარე.

საწარმოო წყლების პირველადი სედიმენტაციის უბანზე - საწარმოო წყლების ნალექის მოსაშორებელ მოწყობილობაში/ნალექის ჭაში და შემდგომში საპროექტო სალექარში ძირითადად (და)გროვდება (და)ილექება ლოკოკინების რეცხვის დროს წარმონილი მყარი ნაწილაკები/სედიმენტები, რომელიც არ წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს და მართვის ღონისძიება ითვალისწინებს მათ ნაგავსაყრელზე გატანა-განთავსებას, პოლიგონის ოპერატორი კომპანიის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად (წლის განმავლობაში შეიძლება წარმოიქმნას მაქსიმუმ 5-6 ტონა სედიმენტი).

ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების საჭირო ტექნომსახურების გაწევის დროს შესაძლო წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ასევე განხორციელდება მათი სახიფათო და არასახიფათო მახასიათებლების შესაბამისად. ლოკოკინების გადამამუშავებელ საწარმოო ობიექტზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვა ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ.

საერთო ჯამში შესაძლებელია დავასკვნათ რომ - განსახილველი ობიექტის მასშტაბისა და ნარჩენების მართვის კუთხით დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელების კუთხით გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აღნიშნული მიმართულებით დამატებითი

კვლევების განხორციელების ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვის საჭიროება არ დგას.

7. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი:

პროექტის მასშტაბისა და სხვადასხვა საპროექტო მახასიათებლების გათვალისწინებით საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები მოსალოდნელი არ არის.

განსახილველი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლო ავარიული რისკები ძირითადად დაკავშირებული იქნება ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების/სადგურების გაუმართაობასთან და არასათანადო ოპერირებასთან, რამაც შესაძლებელია ზემოქმედება იქონიოს წყლის გარემოზე.

შესაძლო ავარიული სიტუაციების გამორიცხვის მიზნით გათვალისწინებული იქნება შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მათ შორის:

- გათვალისწინებული იქნება ობიექტზე არსებული ტექნოლოგიური ხაზების/ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების გამართულობის მუდმივი კონტროლი - ნებისმიერი დაზიანება, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ავარიის რისკებთან დაუყოვნებლის აღმოფხვრება;
- სისტემების ლამით გადავსებითა და გამწმენდი დანადგარის დაზიანებით მოსალოდნელი ავარიული შემთხვევებით ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურების პრევენციის მიზნით - გამწმენდი სისტემები პერმანენტულად გაიწმინდება დაგროვილი ლამისგან;
- გავონტროლდება და დროულად შეკეთდება გამწმენდი დანადგარის სტრუქტურისა და ჰერმეტიულობის დარღვევის ფაქტები;
- შესაძლო ავარიული სიტუაციების პრევენციის მიზნით ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურების ოპერირება განხორციელდება შესაბამისი დანადგარების საპასპორტე მონაცემებით განსაზღვრული ნორმების მკაცრი დაცვით;
- უზრუნველყოფილი იქნება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა და ობიექტის მუშახელის ინსტრუქტაჟი/მომზადება, ასევე საჭიროებისამებრ სპეციალური დამცავი საშუალებებით აღჭურვა;
- შესაძლო ხანძრის გაჩენის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფილი იქნება საწარმოო უბნის ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით, მათ შორის ცეცხლმაქრებით აღჭურვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის საქმიანობის სპეციფიკის, საკვლევი ობიექტის მასშტაბისა და განსაზღვრული ღონისძიებების გათვალისწინებით დგინდება, რომ საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის წარმოშობის წყაროები განსახილველ ობიექტზე არ იარსებებს. ობიექტზე სათანადო ნორმებისა და წესების, ამასთან ზემოთ აწერილი ღონისძიებების დაცვის პირობებში შესაძლებელი იქნება ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურების უსაფრთხო ოპერირება/ექსპლუატაცია.

8. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების სკრინინგი:

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებულ, მიმდინარე თუ დაგეგმილ ანალოგიურ პროექტებთან ერთად (ზემოქმედების თვალსაზრისით) შექმნის მნიშვნელოვან კუმულაციურ ეფექტს. განსახილველი ობიექტის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით კუმულაციური ზემოქმედება შესაძლებელია განხილული იქნეს ძირითადად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ან/და ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურების ჭრილში.

აღსანიშნავია, რომ საკვლევი ობიექტის უშუალო სიახლოვეს, არ ყოფილა იდენტიფიცირებული ისეთი სახის ობიექტ(ებ)ი, რომელიც განსახილველ საქმიანობასთან ერთად კუმულაციურ ეფექტს შექმნიდა. საჯარო მონაცემების გადამოწმებით (mepa.gov.ge; nea.gov.ge) დგინდება, რომ საპროექტო ობიექტის უშუალო სიახლოვეს არ არის დაგეგმილი ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების/სადგურების ოპერირება დაკავშირებული არ იქნება არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციურ ზემოქმედებასთან. აღნიშნული მიმართულების დამატებითი კვლევების განხორციელების, შემარბილებელი ღონისძიებების დასხვის ან/და მონიტორინგის საკითხების განსაზღვრის საჭიროება არ დგას.

9. ზემოქმედების შესაძლო ხარისხი, კომპლექსურობა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (გზშ-ის) პროცედურის ჩატარების მნიშვნელობის განსაზღვრა:

გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგით დგინდება, რომ საქმიანობის განხორციელება, პროექტის სხვადასხვა მახასიათებლებიდან, მათ შორის მასშაბებიდან გამომდინარე არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა არ შეიძლება ჩაითვალოს „მასშტაბურად“. სკრინინგის ანგარიშში მოცემული ღონისძიებების განხორციელებით საქმიანობა გარემოზე მაღალ, შეუქცევად ზემოქმედებას პრაქტიკულად ვერ გამოიწვევს.

საქმიანობის სკრინინგის პროცედურის ფარგლებში არ გამოვლენილა ისეთი ზემოქმედების სახეები/წყაროები, რომელ(ებ)იც ზემოქმედების მაღალი მნიშვნელობით ხასიათდება და დეტალურ შეფასებას ან/და დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დასხვა-განხორციელებას საჭიროებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის საპროექტო მახასიათებლების სპეციფიკისა და სკრინინგის ანგარიშის მე-6, მე-7 და მე-8 თავებში წარმოდგენილი განმარტებების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქმიანობასთან დაკავშირებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება (რომელიც საქმიანობით მოსალოდნელი

ზემოქმედების დეტალურ შეფასებას, გონივრული შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების დანერგვას გულისხმობს) ფაქტობრივ საჭიროებას მოკლებულია / გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) პროცედურის ჩატარების საფუძველი არ არსებობს.

9.1. შესაძლო ზემოქმედების შემაჯამებელი ცხრილი:

ზემოქმედების სახე	მოსალოდნელია ზემოქმედების მნიშვნელობა (დაბალი, საშუალო, მაღალი)	განმარტება
<p>ატმოსფერული დაბინძურება და მოსალოდნელი გარემოზე ზემოქმედება</p>	<p>დაბალი მნიშვნელობის</p>	<p>შპს „ტიმეოს“ საწარმოო ობიექტზე არსებული გამწვანდი ნაგებობები წარმოადგენს დახურული ტიპის სადგურებს, რომლებიც განთავსებულია მიწის ქვეშ. შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მიწისქვეშა დახურულ სისტემაში განხორციელებული პროცესებით ატმოსფერული ჰაერის მნიშვნელოვანი დაბინძურება მოსალოდნელი არ არის, ხოლო უსიამოვნო სუნის გავრცელება დაბალ მნიშვნელობას ატარებს. ამასთან, გასათვალისწინებელია გამწვანდი ნაგებობის მცირე წარმადობა, რომელიც დამატებით გარემობას წარმოადგენს შესაძლო ზემოქმედების დაბალი მნიშვნელობის გამოსაკვეთად. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული, მათ შორის არასასიამოვნო სუნის გამომწვევე ნივთიერებების გაფრქვევის ინტენსივობები იმდენად მცირე იქნება, რომ მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობები უახლოეს დასახლებულ პუნქტთან, რომელიც 950 მეტრი მანძილით არის დაშორებული საკვლევი ობიექტიდან, ვერ გადააჭარმებს დასაშვებ მნიშვნელობებს. საპასპორტე მონაცემების მიხედვით სწორად მოქმედი სადგურების</p>

		შემთხვევაში წყალი არის მუდამ გამჭვირვალე, სუფთა და არა აქვს არასასიამოვნო სუნნი.
ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე	დაბალი მნიშვნელობის	საპასპორტე მონაცემებით მიხედვით გამწმენდი სადგურები პრაქტიკულად ჩუმად მუშაობენ, რაც შესაძლებელს ხდის შენობების მახლობლად სადგურების დამონტაჟებასა და ექსპლუატაციას. გამწმენდი ობიექტები არ ითვალისწინებს მაღალი ხმაურის წარმოქმნელი დანადგარების ექსპლუატაციას, ხოლო შესაძლო ხმაურწარმოქმნელი ელემენტები განთავსებულია დახურულ სისტემაში, მიწის ქვეშ რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედების არსებობას.
წყლის გარემოზე მდინარის ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება	დაბალი მნიშვნელობის	ზოდაგად ობიექტზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების არსებობა დადებით გარემოსდაცვით ღონისძიებას წარმოადგენს და მიმართულია წარმოქმნილი დაბინძურებული წყლების ეფექტური მართვის, ასევე ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურების პრევენციისკენ. გამართული ოპერირებისა და საპასპორტე პარამეტრების დაცვის პირობებში გამწმენდი სადგურების ფუნქციონირება დაკავშირებული არ იქნება გარემოზე ზემოქმედებასთან, მათ შორის ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურებასთან. ვინაიდან საწარმო ობიექტზე გამწმენდი სისტემები/დანადგარები ახალი მოწყობილია და ჯერ კიდევ დახვეწის/ოპტიმიზაციის პროცესშია, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ობიექტის

		<p>შემოწმებისა და ჩამდინარე წყლის სინჯების აღების მომენტში - ჩამდინარე წყლების სტაბილიზაცია ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული სათანადო დონეზე/სტანდარტზე, რამაც გამოიწვია ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურება.</p> <p>დღეის მდგომარეობით სიატუაცია შეცვლილია - საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია ობიექტზე გარემოსდაცვითი შეუსაბამობების გამოვლენის დღიდან ზედმიწევნით მიჰყვება ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების/სადგურების საპასპორტე მახასიათებლებით დადგენილ მოთხოვნებს/მითითებებს, რათა უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების მუდმივი სტაბილიზაცია. ჩამდინარე წყლების გაწმენდის ეფექტურობის გაზრდის მიზნით კომპანიის ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება ასევე დამატებითი ქმედებები (იხ. ქვეთავი 6.3).</p> <p>ზედაპირული წყლის ობიექტის შემდგომი დაბინძურების პრევენციის მიზნით დაგეგმილია ჩამდინარე წყლების ხარისხის კვარტლური მონიტორინგის წარმოება, რაც კომპანიას შესაძლებლობას მისცემს დროულად გამოავლინოს და აღკვეთოს მდინარის დაბინძურების ფაქტები.</p> <p>ჩამდინარე წყლების გაწმენდა-დამუშავების ოპტიმიზაციის (რაც შესაძლო დაკავშირებული იყოს აქტიური შლამის საკმარისი რაოდენობის ჩამოყალიბებასთან ან/და ბიოლოგიური დამუშავების პროცესების სტაბილიზაციასთან) შემდგომ, გამწმენდი სადგურების საპასპორტე პარამეტრებისა და ტექნიკური მომსახურების დაცვის პირობებში ზედაპირული წყლის დაბინძურების და შედეგად</p>
--	--	--


		<p>მდინარის ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების რისკები არ არსებობს. როგორც წესი, ჩამდინარე წყლის მდინარის წყალში განზავების შემდეგ, შესაძლო დაბინძურების მაჩვენებელი კიდევ უფრო ნაკლები იქნება, არ გადაჭარბებს ზღვრულად დასაშვებ მნიშვნელობას და არ მოახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას მდინარის ბიოლოგიურ გარემოზე.</p>
<p>ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედება</p>	<p>დაბალი მნიშვნელობის</p>	<p>გამწმენდი სისტემების, ისევე როგორც საწარმოო ობიექტისა და დამხმარე ინფრასტრუქტურული ერთეულების ტერიტორიაზე მოწყობის დროს დაცული იქნა „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები. ანალოგიური მიდგომა გავრცელდება, ასევე საპროექტო სალექარის მოწყობის დროსაც. მიუხედავად იმისა რომ საპროექტო სალექარი, პარამეტრებიდან გამომდინარე არ საჭიროებს ფართო მასშტაბის საექსკავაციო სამუშაოებს. გამწმენდი სისტემების შემდგომი ექსპლუატაცია, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით დაკავშირებული არ არის ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედებასთან.</p>
<p>ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება</p>	<p>დაბალი მნიშვნელობის</p>	<p>ჩამდინარე წყლების გამწმენდი სადგურების ექსპლუატაციის სპეციფიკის გათვალისწინებით, აღნიშნული ტიპის ობიექტებზე ძირითადად ადგილი აქვს შლამისა და ნალექის დაგროვებას. გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის შედეგად წარმოქმნილი ლამი, ტექნოლოგიური პროცესის</p>

		<p>თანმდევი ნაწილია, რომლის სწორი მენეჯმენტი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით ღონისძიებას წარმოადგენს. გამწმენდი სისტემებიდან ამოღებული მასის დროს დაცული იქნება 6.5 ქვეთავში აღწერილი მიდგომები, კერძოდ ამოღებულ მასას ჩაუტარდება ლაბორატორიული ანალიზი და მისი მართვა განხორციელდება მასის სახიფათოობის ან/და არასახიფათოობის მახასიათებლებიდან გამომდინარე.</p>
<p>საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი</p>	<p>დაბალი მნიშვნელობის</p>	<p>პროექტის მასშტაბისა და სხვადასხვა საპროექტო მახასიათებლების გათვალისწინებით საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები მოსალოდნელი არ არის. განსახილველი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლო ავარიული რისკები ძირითადად დაკავშირებული იქნება ჩამდინარე წყლების გამწმენდი სისტემების/სადგურების გაუმართაობასთან და არასათანადო ოპერირებასთან, რამაც შესაძლებელია ზემოქმედება იქონიოს წყლის გარემოზე. შესაძლო ავარიული სიტუაციების გამორიცხვის მიზნით გათვალისწინებული იქნება შესაბამისი ღონისძიებების გატარება მე-7 თავში აღწერილი ღონისძიებები.</p>
<p>კუმულაციური ზემოქმედება</p>	<p>-</p>	<p>კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საკვლევი ობიექტის უშუალო სიახლოვეს, არ ყოფილა იდენტიფიცირებული ისეთი სახის ობიექტ(ებ)ი, რომელიც განსახილველ საქმიანობასთან ერთად კუმულაციურ ეფექტს შექმნიდა.</p>

		<p>საჯარო მონაცემების გადამოწმებით (mepa.gov.ge; nea.gov.ge) დგინდება, რომ საპროექტო ობიექტის უშუალო სიახლოვეს არ არის დაგეგმილი ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტის მოწყობა- ექსპლუატაცია.</p>
--	--	--

10. დანართები:

 დანართი N1 - ადამინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები

 დანართი N2 - ტერიტორიის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

 დანართი N3 - ტერიტორიის საკადასტრო გეგმა



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი
ზედაშედეგელობის დეპარტამენტი

ოქმი № 071478

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ

მსხვილი წიგნის ქ.5
თქმის შედეგის შესახებ

27.10.2022წ
(თარიღი)

აღმსავლებელ ხელნაწერს შემოიღეთ ვახუშტის
ინსპექციის განუყოფელ მესამე საფეხის უცხო
სწავლის ინსტრუქციის ვადების სწავლება

სამართალდამრღვევი: შპს „ციბუ“ 216 405500220

იხ. შპს „ციბუ“-ის სწავლება ხმ. ვადა-გადასვლა ვადების 151 კმ. 265

განხილვის დასრულების თარიღი: 2022.10.27

ქ. 524-45-55-55

შპს „ციბუ“-ის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ

გამოვადინე, რომ შპს „ციბუ“ მსხვილი წიგნის ქ.5-ზე

წიგნის (72.02.38.172) შპს-ის წიგნის ვადა-გადასვლა
დასრულება სწავლ. შპს „ციბუ“-ის ინსპექციის უცხო
სწავლის ინსტრუქციის ვადების სწავლება და მესამე
საფეხის ვადა-გადასვლა ვახუშტის ინსპექციის
ინსტრუქციის ვადების სწავლება

რაც არის:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის _____

79^ე მუხლი 15^ე მუხლი

დარღვევა.

(შუხლი ანუ მუხლის ნომერი)

ნარჩენების მართვის კოდექსის _____

დარღვევა.

(შუხლი ანუ მუხლის ნომერი)

სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252 ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

მოგესალმებით, ხომ ზარი გახდათ ექსპერტად ვაქსეზზე ვაქსეზის შესახებ...
ფაქტობრივად ვაქსეზები, რეგულაციები ვაქსეზის უფლებების მოქმედება, აქამდე
კანონიერების დონე და აქვე სომხეთ-სომხეთის სომხეთის სომხეთის
ზარი დაუფრთხილ ვაქსეზი. ზარი ვაქსეზის ვაქსეზის (ვაქსეზის) ვაქსეზის
ფაქტობრივად ვაქსეზის ინფორმაცია ვაქსეზის ვაქსეზის ვაქსეზის
ვაქსეზის 200-ზე უფრო და ვაქსეზის ვაქსეზის ვაქსეზის
სომხეთის ვაქსეზის ვაქსეზის ვაქსეზის ვაქსეზის
500000 ვაქსეზის ვაქსეზის ვაქსეზის ვაქსეზის

მოწმებებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

(მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

ჩამორთმეულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან): _____
(სელმოწმე)

ოქმის შემდგენელი: _____
(სელმოწმე)

სამართალდამრღვევი: _____
(სელმოწმე ან სელმოწმის ნომერი)

ოქმის ერთი პირი მივიღე: _____
(სამართალდამრღვევის სახელი)

რაც არის:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის _____

58 პუნქტის 1 ნაწილის

დარღვევა.

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

ნარჩენების მართვის კოდექსის _____

დარღვევა.

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

სამართალდამრღვევს განეშარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლითა გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

ვეანბნები იქვე აღნიშნულ

[Redacted]

მაჭმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განეშარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

(მაჭმის სახელი, გვარი, დასახელება თარიღი და მისამართი)

ჩამორთმეულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან): _____

სტამბები

სტამბები

ოქმის შემდგენელი: _____

სტამბები

სამართალდამრღვევი: _____

(სტამბები ან ხელმოწერის უფლებანიშნები)

ოქმის ერთი პირი მივიღე: _____

(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის დეპარტამენტი

ოქმი № 074980

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ

ქუბია, სბუკის ქ. 5
(ოქმის შედგენის ადგილი)

12.02.2023წ.

(თარიღი)

აქტუალის ხელნაწერი სპეციალური განმარტებითი ინსტრუქცია
(ოქმის შედგენის თანხმდებლობა, სახელმწიფო მისამართი მართვა)
საქმის განმარტებითი მუხლი დასრულებული უნდა იქნას
- ინსტრუქცია ვადების რეგულირება

სამართალდარღვევა: შპს "ქობა" ს/გ 405500280

აქტი მისი თარიღით, სბუკის ქ. 5, ვაჭარბაძის კვანძი 151 ახ. 4, ბ. 65
(სასაქონლო სამართალდარღვევის შესახებ ფორმული მიზნის წესდების მოქმედება შესაძლებელია, დიპლომატიის)

განმარტებითი ინსტრუქცია: ვაჭარბაძის კვანძი 151 ახ. 4, ბ. 65
(ოქმის შედგენის ადგილი, ოქმის დასრულების თარიღი, ოქმის დასრულების თარიღი, ოქმის დასრულების თარიღი)

შპს "ქობა" მისი ვაჭარბაძის კვანძი 151 ახ. 4, ბ. 65
(ოქმის შედგენის ადგილი, ოქმის დასრულების თარიღი, ოქმის დასრულების თარიღი, ოქმის დასრულების თარიღი)

გამოვადლები, რომ შპს "ქობა" მისი ვაჭარბაძის კვანძი 151 ახ. 4, ბ. 65
(სამართალდარღვევის შესახებ ფორმული მიზნის წესდების მოქმედება შესაძლებელია, დიპლომატიის)

შპს "ქობა" ს/გ 405500280 დასრულებული უნდა იქნას
საქმის განმარტებითი მუხლი დასრულებული უნდა იქნას
განმარტებითი ინსტრუქცია: ვაჭარბაძის კვანძი 151 ახ. 4, ბ. 65
საქმის განმარტებითი მუხლი დასრულებული უნდა იქნას
ინსტრუქცია ვადების რეგულირება
საქმის განმარტებითი მუხლი დასრულებული უნდა იქნას
შპს "ქობა" მისი ვაჭარბაძის კვანძი 151 ახ. 4, ბ. 65
შპს "ქობა" მისი ვაჭარბაძის კვანძი 151 ახ. 4, ბ. 65
შპს "ქობა" მისი ვაჭარბაძის კვანძი 151 ახ. 4, ბ. 65

რაც არის:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის _____

82² მუხლი 3 ნაწილი
(მუხლი 81-დან მუხლის ნაწილი)

დარღვევა.

სარჩენების მართვის კოდექსის _____

დარღვევა.

(მუხლი 81-დან მუხლის ნაწილი)

სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლითა გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

ვეანხებო იქვე აღნიშნულ

[Redacted]

მოწმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

(მოწმის სახელი, გვარი, დასახელების თარიღი და მისამართი)

ჩამორთვიულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან): _____

(სტამბოვით)

(სტამბოვით)

ოქმის შერდგენელი: _____

(სტამბოვით)

სამართალდამრღვევი: _____

(სტამბოვით ან სტამბოვით უცნობის შემთხვევაში)

ოქმის ერთი პირი მივიღე: _____

(სამართალდამრღვევა თუ არა)

დანართი N2



შპს (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 72.02.38.172**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882023165202 - 02/03/2023 12:51:37

მომზადების თარიღი
28/03/2023 18:13:35

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:
მცხეთა	ნილკანი			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამუშავებული ფართობი: 8900.00 კვ.მ.
72	02	38	172	ნაკვეთის წინა ნომერი: შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 (მშენებარე) N2 (მშენებარე) N3 (მშენებარე) -საერთო ფართობი 2720.6 კვ.მ. (მ/შ სასაწყობე ფართი 1291 კვ.მ. დამშმარე სათავსო და სხვა სივრცეების ფართი 786.5 კვ.მ. საოფისე-საქმიანი ზონების ფართი 112.8 კვ.მ. დერეფნები 188.3 კვ.მ. საზაფხულო 97.2 კვ.მ. ღია ავტოსადგომი 244.8 კვ.მ.)

მისამართი: მცხეთა, სოფელი ნილკანი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია: ნომერი 882022050632, თარიღი 21/01/2022 14:10:35
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 21/01/2022

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი: 21/01/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრები:

შპს "ტიმელ", ID ნომერი: 405500220

მესაკუთრე:

შპს "ტიმელ"

აღწერა:

იძოთეკა

1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882022070233** თარიღი **28/01/2022 17:31:27**

უფლების რეგისტრაცია: თარიღი **28/01/2022**

იძოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი" 204854595;

საგანი: დამუშავებული ფართობი: 8900.00 კვ.მ და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობები: N1 (მშენებარე) N2 (მშენებარე) N3 (მშენებარე) -საერთო ფართობი 2720.6 კვ.მ. (მ/შ სასაწყობე ფართი 1291 კვ.მ. დამშმარე სათავსო და სხვა სივრცეების ფართი 786.5 კვ.მ. საოფისე-საქმიანი ზონების ფართი 112.8 კვ.მ. დერეფნები 188.3 კვ.მ. საზაფხულო 97.2 კვ.მ. ღია ავტოსადგომი 244.8 კვ.მ.);

იძოთეკის ხელშეკრულება N1231232926633, დამოწმების თარიღი 28/01/2022, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შეთანხმება იძოთეკის ხელშეკრულებაში N1231232926633 ცვლილებების შეტანის შესახებ, დამოწმების თარიღი: 25/02/2022, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882022137551 თარიღი 25/02/2022),

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ვადალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის


მოვალეობა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების სანუქრად მიღებისას სამშობლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური სარეგისტრაციო აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეივსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საქარო რეესტრის თანამშრომელი მზრითან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

დანართი N3 - ტერიტორიის საკადასტრო გეგმა



საქართველოს ეროვნული საკადასტრო: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, 22; ტელ: (995 32) 2 25 15 28; <http://nacr.gov.ge>